ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ღლეხთა მთავრობისა.

1927 წლის დეკემბრის 1.	№ 21 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 234. ქალაქდის მრეწველობის ნაკეთობის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და საცალო გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

„ 235. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/სსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ქ. შემახისა, გორისა და ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მიცემის თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა განმარტების შესახებ.

„ 236. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მექანიკური წარმოების ფეხსაცმლის მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანამატის შესახებ.

„ 237. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო საარეისკურანტო ფასების შემცირების შესახებ.

„ 238. ტრაქტორებისათვის გაცემული კეროსინის საბითუმო ფასებზე წანამატის დაწესების შესახებ.

„ 239. ა/სსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ბამბის მრეწველობის ნაკეთობის წანამატის თაობაზე 1927 წ. ივნისის 29-ის თარიღითა და 8 №-ით და ფეხსაცმლის ფასების თაობაზე 1927 წ. ივნისის 29-ის თარიღითა და 9 №-ით გამოცემულ დადგენილებათა ძალაში შესვლის შესახებ.

„ 240. კეროსინის ცალბითი გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

„ 241. მოეხმრებელ საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებების რეგისტრაციის წესის შესახებ.

„ 242. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 530. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 8 ა/კსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწვ. და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წლის ივნისის 29.

234. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ „ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. აპრილის 1-ს დადგენილების თანახმად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის ოქტომბრის 16-ის თარიღისა და 2/65 №-ის დადგენილების გასაუქმებლად,—ადგენს:

1. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის სატრანზიტო გაყიდვისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი:

ა) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის ცენტრალური ქაღალდის ტრესტი, უკრაინის ქაღალდის ტრესტი, ლენინგრადის ქაღალდის ტრესტი, პოლესიეს ქაღალდის ტრესტი, ჩრდილო-დასავლეთის ტყის ტრესტი და კამა-ურალის ქაღალდის ტრესტი თავისი წარმომადგენლობისა, კონტორისა, საგენტოს და განყოფილების მეშვეობით—არა უმეტეს 1%-სა (2%-ის ნაცვლად);

ბ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის საოლქო მასშტაბის კოოპერატიული კავშირი—არა უმეტეს 1,25%-სა;

გ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრი—არა უმეტეს—1,5%-სა.

შენიშვნა „ბ“ და „გ“ პუნქტისა. როდესაც საქონელი ტრანზიტით კოოპერატიული სავაჭრო ქსელის ერთი საფეხურიდან მეორეში გადადის—შეიძლება დადებულ იქნეს მხოლოდ სატრანზიტო წანამატი (ან საოლქო მასშტაბის კოოპერატიული კავშირისა, ან რესპუბლიკანური ცენტრის მიერ).

დ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია—არა უმეტეს 3,75%-სა.

შენიშვნა. პუნქტი ესე გავრცელდება როგორც სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოებზე, ისე სპეციალურ ორგანიზაციებზე, რომელნიც გამომცემლობათა მომარაგებას ეწევიან. აღნიშნულ სპეციალურ ორგანიზაციათა სიას დაიწესებენ ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულები ადგილობრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის საბითუმო ვაჭრობისათვის საწყობებში დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი:

ა) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდიან ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი ტრესტები თავის განყოფილებათა საწყობებიდან—არა უმეტეს 3,5%-ისა (12%-ის ნაცვლად);

ბ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის საოლქო მასშტაბის კოოპერატიული კავშირი—არა უმეტეს 5%-ისა (18%-ის ნაცვლად);

გ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრი—არა უმეტეს 5,5%-ისა;

დ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო და სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც გამომცემლობის მომარაგებას ეწევა (იხ. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „დ“ პ.)—არა უმეტეს 6%-ისა.

3. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის ნახევარ-საბითუმო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი:

ა) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდიან ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი ტრესტები თავის განყოფილებათა საწყობებიდან—არა უმეტეს 5,5%-ისა;

ბ) როდესაც ნაკეთობას გაჰყიდის სხვა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაცია და აგრეთვე სპეციალური ორგანო, რომელიც გამომცემლობის მომარაგებას ეწევა,—არა უმეტეს 12%-ისა.

4. როდესაც ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობას ცალობით გაჰყიდის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, კოოპერატიული და სპეციალური ორგანიზაციაა, რომელიც გამომცემლობათა მომარაგებას ეწევა, და აგრეთვე თვით გამომცემლობა: ა) ქალაქად—არა ულმეტეს 25%-ისა და ბ) სოფლად—არა უმეტეს 35%-ისა.

5. ამა დადგენილებით დაწესებული წანამატები შეფარდებულ არ უნდა იქნეს საგაზეთო ქაღალდის გაყიდვის დროს, რაც უნდა გაიცეს ყოველგვარი წანამატის დაურიცხველად თვითღირებულების ფასად ფრანკო-საზღვარი ან ქარხანა, ნამდვილი სატრანსპორტო ხარჯების დარიცხვით ქაღალდის რეალიზაციის ადგილზე მიტანისას.

6. დაწესეაულ იქნეს ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის ვაჭრობისათვის ა/კსფსერ ფარგალში შემდეგი გრადაცია საბითუმო, ნახევარ-საბითუმო, ცალობითი და წვრილ-ცალობითი გაყიდვისა: საბითუმო გაყიდვა—1.000 მანეთზე მეტი ღირებულების ნაკეთობის გაყიდვა; ნახევარ-საბითუმო—50 მანეთიდან 1.000 მანეთამდე; ცალობითი—1 დასტიდან 50 მანეთამდე; წვრილ-ცალობითი—1 დასტამდე.

შენიშვნა. გაყიდვის კატეგორია (საბითუმო, ნახევარ-საბითუმო) განისაზღვრება გარიგების თანხით, იმისდა მიუხედავად, ერთი ხარისხის ქაღალდია გაცემული, თუ რამდენიმე ხარისხისა.

7. მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის დაწესება ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის წვრილ-ცალობითი (1 დასტაზე ნაკლები) ვაჭრობისათვის როგორც

ქალაქად, ისე სოფლად, დაევალოს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ადგილობრივ; ამასთანავე ეს წანამატი სათანადო ფაბრიკის ფასებზე არ უნდა აღემატებოდეს სოფლად 50%-ს და ქალაქად 30%-ს.

8. ამა დადგენილებით გათვალისწინებული ყველა წანამატი დაერიცხება საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ საგასაცემო ფასს ფრანკო-ფაბრიკის საწყობი.

9. ყოველგვარი ტრანსპორტის ხარჯი და აგრეთვე ტრანსპორტთან დაკავშირებული დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯი გამოიანგარიშება მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით და ჩაირიცხება საქონლის საბოლოო ფასში იმ წანამატის ზედმეტად, რაც ამა დადგენილებითაა დაწესებული.

10. ამა დადგენილების მე-9 მუხლით გათვალისწინებული ხარჯების ნამდვილი რაოდენობის დაწესება დაეკისროს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ადგილობრივ.

11. ქალაღდის მრეწველობის იმ ნაკეთობის გაყიდვის დროს, რომელიც გადამუშავებულ იქნა (დაჭრა, დახაზვა და სხვ.),—გადამუშავების ნამდვილი ღირებულება საქონლის საბოლოო ღირებულებას დაერიცხება.

12. დადგენილება ესე გავრცელდება აგრეთვე წინად დადებულ ხელშეკრულებისა და გარიგების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქონელი ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე ჩაუბარებელია.

13. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაეკვალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

14. ამა დადგენილების დარღვევისათვის დანაშაული პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

15. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწვ. და სასურსათო სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1629 №-ში 1927 წ. ნოემბრის 18-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

235. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ქალაქ შემახისა, გორისა და ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მიცემისთაობაზე გამოცემულ დადგენილებათა განმარტების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ადგენს:

განმარტებულ იქნეს, რომ სიტყვა „შენობა“, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ქალ. შემახის მცხოვრებთათვის, მშენებლობის განსაკუთარებლად, საგადასახადო შეღავათის მიცემის შესახებ გამოცემული დადგენილების (ა/სფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 6, მუხ. 440) 1-ლი მუხლის ტექსტში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—მიწისძვრისაგან დაზარალებულ ქ. გორის მცხოვრებთათვის, მშენებლობის განსაკუთარებლად, საგადასახადო შეღავათის მიცემის შესახებ გამოცემული დადგენილებისა (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 10, მუხ. 501) და ამიერკავკასიის ცენტრალური მასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ქ. ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათის მიცემის შესახებ გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 621) ტექსტში,—გულისხმობს საცხოვრებელ შენობას.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ნოემბრის 15.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1630 №-ში 1927 წ. ნოემბრის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 9 აკსფსრ ვაჭროვის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწველო და სასურსათო სქონლის სამმართველო).

1927 წ. იანვრის 29.

236. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მექანიკური წარმოების ფეხსაცმლის მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანამატის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის აპრილის 5-ის თარიღის დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის მარტის 22-ის თარიღისა და 12/127 №-რის დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო წანამატი (უფრახტოთ) პირველი ხარისხის ფეხსაცმელზე მრეწველობის უკიდურესი საგასაცემო ფასების პრეისკურანტისათვის, მიუხედავად გარიგების თანხისა, რომელი პრეისკურანტიც დამტკიცებულია საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ამა წლის აპრილის 5-ს:

ა) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როდესაც იგი ფეხსაცმელს ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბის) მიჰყიდის, გარიგების თანხის მიუხედავად:

სატრანზიტო ოპერაციების წესისამებრ (3%-ის ნაცვლად)—1,5%;

როდესაც ფეხსაცმელი სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისა და მის განყოფილებათა (კონტორა და ბაზა) საწყობებიდან გაიყიდება (5,5%-ის ნაცვლად)—4,5%;

როდესაც სინდიკატი ფეხსაცმელს სხვა ორგანიზაციებს მიჰყიდის სატრანზიტო ოპერაციების წესისამებრ (4%-ის ნაცვლად)—2,25%;

როდესაც ფეხსაცმელი სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისა და მის განყოფილებათა (კონტორა და ბაზა) საწყობებიდან გაიყიდება (6,5%-ის ნაცვლად)—5,25%;

შენიშვნა. სასაწყობო ოპერაციების რიცხვის შემცირებისა და ფეხსაცმლის ფასების მაქსიმალური დაკლების მიზნით დაევალოს სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატს გაამლიეროს ფეხსაცმლის სატრანზიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით გაყიდვა; ამასთანავე ტყავის სინდიკატმა სატრანზიტო წესით უნდა გასცეს 60% მაინც იმ ფეხსაცმლებისა, რომლის რეალიზაციასაც იგი აწარმოებს.

ბ) მოკავშირე რესპუბლიკანური და საოლქო სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, როდესაც ისინი ფეხსაცმელს მისცემენ თავის პერიფერიას როგორც სატრანზიტო წესით, ისე სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისა და მის განყოფილებათა (კონტორა და ბაზა) საწყობებიდან, ფეხსაცმლის მიმღების მისამართით—0,75% (1%-ის ნაცვლად).

როდესაც ზემოდ ჩამოთვლილი სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციები გაჰყიდიან ფეხსაცმელს, რაც მათ უშუალოდ ტრესტებისაგან (ფაბრიკებისაგან) სატრანზიტო წესით საწყობებში და ქარხნებში იყიდეს,—0,75% (4%-ის ნაცვლად).

გ) ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილი ორგანიზაციები სათანადო პუნქტებით გათვალისწინებული წანამატის დარიცხვას აწარმოებენ ისე, რომ არავითარ ხარჯს (ფრახტის გარდა) არ დაადებენ თავის კონტრაგენტებს ან მყიდველებს; გარიგების საბირეო, საღერბო და სხვა გამოსაღები შეიძლება დაედოს კონტრაგენტს ან მყიდველს არა უმეტეს 50%-ის რაოდენობისა; ამასთანავე ამა დადგენილების „ბ“ პუნქტში აღნიშნულ კოოპერატიულ შენაერთებს უფლება არა აქვთ გადაახდევინონ რაიმე ანარიცხი თავის მოწილადეს გენერალური ხელშეკრულების დადების დროს.

2. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მიერ ფეხსაცმლის ნახევარსაბითუმო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი (უფრახტოთ) პირველი ხარისხის ფეხსაცმლის მრეწველობის უკიდურესი საგასაცემო ფასების პრეისკურანტზე, რომელი პრეისკურანტიც დამტკიცებულია საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ამა წლის აპრილის 5-ს:

ა) როდესაც ფეხსაცმელი მიეცემა სახელმწიფო ვაჭრობას და კოოპერაციას—6% (8%-ის ნაცვლად);

ბ) როდესაც ფეხსაცმელი მიეცემა კერძო, ცალობით მოვაჭრეს—8% (10%-ის ნაცვლად).

3. ამა დადგენილების 1 და 2 მუხლით დაწესებულ წანამატში შეტანილია ფრახტის ღირებულება 1500 ვერსის მანძილზე ფეხსაცმლის წარმოების ადგილიდან; რკინის გზისა და წყალსავალი გზის ფრახტი აღნიშნული 1500 ვერსზე მეტი მანძილისათვის საქონლის რეალიზაციის ადგილამდე და აგრეთვე ჭაპანზიდის ტრანსპორტის ხარჯი (მინა-საქალაქო გადაზიდვის ხარჯის გარდა) დაერიცხება ფეხსაცმლის საბოლოო საგასაცემო ფასს მათი ნამდვილი რაოდენობის მიხედვით.

4. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მიერ ფეხსაცმლის ცალობით გაყიდვა ქალაქად მოხდება პირველი ხარისხის ფეხსაცმლის ცალობითი პრეისკურანტის თანახმად, რომელი პრეისკურანტიც დამტკიცებულია საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ამა წლის აპრილის 5-ს, ხოლო დაემატება ნამდვილი ღირებულება:

ა) რკინიგზისა და წყალსავალი გზის ფრახტისა 1500 ვერსზე მეტი მანძილისათვის ფეხსაცმელის წარმოების ადგილიდან რეალიზაციის ადგილამდე და

ბ) ჭაპანზიდვის ტრანსპორტისა (შინა-საქალაქო გადაზიდვის გარდა).

5. კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ფეხსაცმლის ცალობით გაყიდვა სოფლად მოხდება ამა დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული პრეისკურანტის თანახმად, მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატით 3%-ის რაოდენობით, ხოლო ფეხსაცმლის საბოლოო საგასაცემო ფასს დაემატება ნამდვილი ღირებულება:

ა) რკინის გზისა და წყალსავალი გზის ფრახტისა 1500 ვერსზე მეტი მანძილისათვის ფეხსაცმლის წარმოების ადგილიდან რეალიზაციის ადგილამდე და

ბ) ჭაპანზიდვის ტრანსპორტისა (შინა-საქალაქო გადაზიდვის გარდა).

6. წინადადება მიეცეს ამერიკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დაწესონ წანამატი და უკიდურესი ფასები ფეხსაცმლის კერძო ცალობით მოვაჭრეთა მიერ ცალობით გაყიდვისათვის როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

7. ამა დადგენილების მე-3, 4 და 5 მუხ. გათვალისწინებული რკინის გზისა, წყალსავალი გზისა და ჭაპანზიდვის ტრასპორტის ფრახტის ნამდვილი რაოდენობის დაწესება დაეკვალოს ამერიკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს საქართველოს სსრ-სა, აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სს რესპუბლიკაში.

შენიშვნა. რკინის გზისა და წყალსავალი გზის ფრახტის ზედნართის რაოდენობა განისაზღვრება თითოეული ტრესტის ფეხსაცმლის გადაზიდვის ნამდვილი ღირებულების მიხედვით ცალკე; სხვადასხვა ტრესტების ფეხსაცმლის ფრახტისათვის საშუალო-წონითი ზედნართის დაწესება არ შეიძლება.

8. კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციას აეკრძალება შესცვალოს ფეხსაცმლის ის სახელწოდება და ნუმერაცია, რაც აღნიშნულია საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ამა წლის აპრილის 5-ს დამტკიცებულ პრეისკურანტში.

9. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ფეხსაცმლის პრეისკურანტში შეტანილია მთლად საფუთავი მასალისა, ზონარისა და კოლოფების ღირებულება, გარდა სანდალისა და ხბოს ტყავის ფეხსაცმლისა, რომლის ფასშიაც შეტანილია მხოლოდ საფუთავი მასალის (ტარა და ჩაფუთვა) ღირებულება.

10. დაეკვალოს ტყავის სინდიკატს, სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებითი და სავაჭრო საწარმოთ ფეხსაცმლის გაყიდვის დროს შეიტანონ თავის კონტრაგენტებთან დადებულ ხელშეკრულებასა და გარიგებაში შემდეგი პირობა:

ა) ფეხსაცმლის ვაჭრობა ა/კსფსრ-ში უნდა სწარმოებდეს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დადგენილებათა სრული დაცვით;

ბ) ზედმიწევნით უნდა იქნეს შესრულებული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. ივლისის 2-ის თარიღის დადგენილება (კან. კრებ. 1926 წ. № 51, მუხ-

374), რის ძალითაც არ შეიძლება ფეხსაცმელი იმ სავაჭრო ორგანიზაციას მიეყიდოს, რომელიც საქონლის ნორმალური მოძრაობის ფარგალს გარეშე იმყოფება, და აგრეთვე არ შეიძლება საქონლის ბითუმად გაყიდვა იმ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ, რომელიც, თავის წესდების თანახმად, ვალდებულია საცალო ვაჭრობა აწარმოოს.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფარ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სავაჭრო ორგანიზაციას, რომელიც ფეხსაცმლის ვაჭრობას ეწევა, ფეხსაცმელი კერძო, ცალობით მოვაჭრეებს მისცეს მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ამ უკანასკნელთაგან მიღებულ იქნება გარანტია, რომ ფეხსაცმლის გაყიდვის დროს მათ მიერ დაცულ იქნება უკიდურესი ფასები და წანამატი, რასაც დააწესებენ ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულები ადგილობრივ.

12. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათ ფეხსაცმლის გაცემის დროს აღნიშნონ ანგარიშსა და ფაქტურაში:

ა) ტყავის მრეწველობის საბითუმო-საგასაცემო ფასი და

ბ) ამა თუ იმ მოვაჭრე ორგანიზაციის საგასაცემო ფასი, ამ ორგანიზაციისათვის დაწესებული სავაჭრო წანამატისა და ფრახტის ღირებულების (ჯამი) აღნიშვნით.

13. ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებითი საწარმოს და აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს ცალობით გაჰყიდოს ფეხსაცმელი ცალობით ფასებში მხოლოდ თავისი ცალობითი ვაჭრობის მაღაზიიდან ან თავისი სავაჭრო დაწესებულების სპეციალური ცალობითი განყოფილებიდან, ხოლო იმ პირობით, რომ იმ განყოფილებაში საბითუმო ვაჭრობა არ სწარმოებდეს.

14. დადგენილება ესე გავრცელდება აგრეთვე წინად დადებულ ხელშეკრულებისა და გარიგების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქონელი ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე ჩაუბარებელია.

15. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფარ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

16. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

17. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფარ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწვ. და სასურ. საქონლის სამმართ. უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1630 №-ში 1927 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება № 12 აკსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო).

237. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო საპრეისკურანტო ფასების შემცირების შესახებ.

(ძალაში შევიდა 1927 წ. ივლისის 30-დან).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მ-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ამა წლის ივლისის 15-ის თარიღისა და 157 №-ის დადგენილების საფუძველზე—ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატი, თავისი, ამა წლის მარტის 2-ის თარიღისა და 7/122 №-ის, დადგენილების დასამატებლად, აღგენს:

1. შემცირებულ იქნეს სინდიკატად გაერთიანებული ტრესტების ბამბის ნაკეთობის საბითუმო-საგასაცემო ფასი ამა წლის თებერვლის 15-ის თარიღის პრეისკურანტის მიხედვით, საშუალოდ 4,14%-ის რაოდენობით.

აღნიშნული საშუალო პროცენტი განაწილებულ იქნეს ნაკეთობათა ცალკე ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად:

ა) ჩითეულის ჯგუფისათვის—10%; ბ) მიტკალ-ნარმის ჯგუფისათვის—10%; გ) სათეთრეულო ნარმისათვის—1,45%; დ) სადემისეზონო-სატანისამოსო ჯგუფისათვის—1,67%; ს) საზაფხულო—სატანისამოსო ჯგუფისათვის—1,8%; ს) საზამთრო—სატანსაცმელო ჯგუფისათვის—3,48%; ს) სადა შეღებილი სატანსაცმელო ჯგუფისათვის—3,38%; ფ) დაჩითული სატანსაცმელო ჯგუფისათვის—3,77%; ს) სპეციალური ჭრელი ქსოვილისათვის—2,73%; ს) სასარჩულო ჭრელი ქსოვილისათვის—1,04%;—ჭრელი ქსოვილისათვის ნაჭრობით—1,76%; ა) ზიური ჭრელი ქსოვილისათვის—1,24%;—სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის მიერ ფასის წასამატებლად—0,6%.

2. ამა დადგენილების 1-მუხლში აღნიშნული ფასების შემცირების საფუძველზე შედგენილი და საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ამა წლის ივლისის 15-ის თარიღით დამტკიცებული პრეისკურანტი სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის საბითუმო საგასაცემო ფასებისა იმ ბამბის ნაკეთობაზე, რასაც ამზადებენ სინდიკატად გაერთიანებული ტრესტები, შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ-ში:

ა) საბითუმო გარიგების დროს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ამა წლის ივლისის 15-დან; ამასთანავე პრეისკურანტის მოქმედება გავრცელდეს ყველა წინად დადებული გარიგების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქონლის პარტია აღნიშნული ვადისათვის ჩაუბარებელია;

ბ) ყველა წვრილ-საბითუმო ოპერაციის დროს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან—ამა წლის აგვისტოს 1-დან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ყველა გარიგების დროს კერძო პირებთან — ამა დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული პრეისკურანტი ამასთანავეა დართულია.

3. სინდიკატად გაერთიანებული ტრესტი და სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია, უკეთუ სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ამა წლის ივლისის 15-დან მისცემს იმ ბამბის ქსოვილს, რომელიც ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პრეისკურანტში არ შესულა და რომელიც ამა წლის ივლისის 14-ს შემდეგ იქნება ტრესტის საწყობში და საქონლის გამტარებელ ქსელში, დააწესოს მონაკლები საკაშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული საბითუმო ფასებისათვის, რაც ამა წლის თებერვლის 15-მდე მოქმედებდა, 9%-ის რაოდენობით.

4. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის მიერ საფეიქრო ნაკეთობის უშუალოდ ფაბრიკიდან გაცემის დროს სინდიკატის სასარგებლოდ ზედნართის გადახდევინება, 0,85%-ის რაოდენობით, გაუქმებულ იქნეს.

5. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალებათ ბამბის მანუფაქტურის ცალობითი ფასები ა/კსფსრ-ში შეამცირონ ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლის თანახმად ამა წლის აგვისტოს 25-დან.

6. ყველა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც ბამბის მანუფაქტურის გამტარებელია, — მოვალეა, ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხ. მიხედვით, სათანადოდ შეასწოროს აღნიშნულ ქსოვილთა ნაკრების იარლიკები:

ა) საბითუმო და წვრილ-საბითუმო ვაჭრობისათვის ამა წლის აგვისტოს 1-დან;

ბ) ცალობითი ვაჭრობისათვის — ამა წლის აგვისტოს 25-დან.

7. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/ კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/ კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურსათო საქონლის
სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1632 №-ში 1927 წ. ნოემბრის 22-ს.

დადგენილება № 18 აკსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო).

238. ტრაქტორებისათვის გასაცემი კეროსინის საბითუმო ფასებზე წანამატის დაწესების შესახებ.

(ძალაში შევიდა 1927 წ. სექტემბრის 6-დან).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა, სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. აპრილის 1-ის თარიღისა და ავკისტოს 1-ის თარიღის დადგენილებათა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს განმკარგულებელი სხდომის მიერ ა/კსფსრ სოფლის მეურნეობაში მომუშავე ტრაქტორებისათვის აქციზ-მოხსნილი ნავთის პროდუქტების გაცემის შესახებ მიღებული დადგენილების (1927 წ. აპრილის 6-ის სხდომა, ოქ. № 12) თანახმად—ამიერკავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატი ადგენს:

1) კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ტრაქტორებისათვის კეროსინის ცალობით გაყიდვის დროს როგორც დუქნებიდან, ისე ნავთის საწყობებიდან (საკუთარი ან ფჯარით აღებული კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ),—დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წანამატი აზერბაიჯანის ნავთის ვაჭრობის სამმართველოს საბითუმო-საგასაცემო ფასებზე უაქციზოდ:

ა) იმ ადგილისათვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 25 კილომეტრამდე მანძილზე მდებარეობს,—13%;

ბ) იმ ადგილისთვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 50 კილომეტრამდე მანძილზე მდებარეს,—13,5%;

გ) იმ ადგილისათვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 50 კლმ. მეტ მანძილზე მდებარეობს,—15%.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ წანამატს დაერიცხება ჭაპანზიდვით მიტანის ღირებულება სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაყიდვის ადგილიდან ცალობითი ვაჭრობის ადგილამდე, ხოლო არა უმეტეს იმ ნორმისა, რაც დაწესებულია ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთა მიერ.

2) ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაშაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ დაწესონ კეროსინის ჭაპანზიდვით მიტანის ხარჯის უკიდურესი ნორმები, რისთვისაც უნდა განსაზღვრონ ფუთი-ვერსის საშუალო ღირებულება, ტარის დაბრუნებით, იმისდა მიუხედავად, რა დრო იქნება წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) წინადადება ეძლევათ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებრლებს ა/კსფრს შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში, ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის მიხედვით, შემომშაონ და გამოაქვეყნონ კეროსინის კონ-კრეტული ცალობითი ფასები, როდესაც იგი ტრაქტორებისათვის იყიდება, რის-თვისაც საწყავ ერთეულად ერთი ლიტრი უნდა მიიღონ.

4) შემოღებულ იქნეს, როგორც წესი, რომ აზერბაიჯანის ნავთის ვაჭრ-ბის სამმართველოს საბითუმო საწყობებსა და ცალობითი ვაჭრობის პუნქტებს შორის უნდა იყოს მხოლოდ ერთი საშუალედო პუნქტი.

5) ამა დადგენილებით დაწესებული წანამატი მაქსიმალურად უკიდურესია და მისი შეცვლა, შემცირების მხრით, შეუძლიანთ მხოლოდ ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ადგილობრივ მოვაჭრე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

6) წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაავალონ ყველა კოო-პერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელიც კეროსინის საბითუმო და ცალობითი გაცემას აწარმოებს ტრაქტორებისათვის, იხელმძღვანელოს ამიერკავ-კასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 6-ის განმკარგულებელი სხდომის დადგენილება (ოქმი № 12) „ა/კსფსრ სოფლის მეურეობაში მომუშავე ტრაქტორებისათვის აქციზ-მოხსნილი ნავთის პროდუქტების გაცემის წესის შე-სახებ“ და ზრომისა და თავდაცვის საბჭოს 1925 წ. ივლისის 4-ის თარიღის და-დგენილება „სოფლის მეურნეობაში მომუშავე ტრაქტორებისათვის ნავთის სათ-ბობისა და ნავთის პროდუქტების საშეღავათო პირობებით გაცემის შესახებ“ (კან. კრებ. 1925 წ. № 49, მუხ. 369).

7. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგე-ნილების სისწორით შესრულებას.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წე-სების დარღვევისათვის.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწვ. და სასურს. საქონლის სამმართ. უფრ. **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1633 №-ში 1927 წ. ნოემბრის 23-ს.

საქართველოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 26 აკსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. ნოემბრის 22.

239. ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ბამბის მრეწველობის ნაკეთობის წანამატის თაობაზე 1927 წ. ივნისის 29-ის თარიღითა და მე-8 №-ით და ფეხსაცმლის ფასების თაობაზე 1927 წ. ივნისის 29-ის თარიღითა და მე-9 №-ით გამოცემულ დადგენილებათა ძალაში შესვლის შესახებ.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ „ბამბის მრეწველობის ნაკეთობის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 29-ის თარიღითა და მე-8 №-ით გამოცემული დადგენილების მე-15 მუხლისა და „სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მექანიკური წარმოების ფეხსაცმლის მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანამატის დაწესების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 29 თარიღითა და მე-9 №-ით გამოცემული დადგენილების მე-17 მუხლის შესაცვლელად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი ადგენს: აღნიშნული დადგენილებანი ძალაში შესულად ჩაითვალოს 1927 წ. ივნისის 20-დან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის საქ. მმართ. **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია „ვოსტოკა“-ს 1633 №-ში 1927 წ. ნოემბრის 23-ს.

დადგენილება № 19 აკსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო).

1927 წ. სექტემბრის 6.

240. კეროსინის ცალობითი გაყიდვისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქ-

ტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. აპრილის 1-ლის თარიღის დადგენილების საფუძველზე, ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი,—ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის 1925 წ. ივლისის 30-ის თარიღისა და 50 №-ის დადგენილების იმ ნაწილის შესაცვლელად, რაც კეროსინის ცალობითი ფასებს შეეხება, და ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის 1926 წ. ოქტომბრის 13-ის თარიღისა და 54-110 №-ის დადგენილების გასაუქმებლად,—ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კეროსინის შემდეგი უკიდურესი წანამატი, როდესაც იგი ცალობით გაიყიდება კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციების საწყობებიდან:

ა) იმ ადგილისათვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 25 კილომეტრამდე მანძილზე მდებარეობს,—10,75%;

ბ) იმ ადგილისათვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 50 კილომეტრამდე მანძილზე მდებარეობს,—11%;

გ) იმ ადგილისათვის, რომელიც სარეზერვუარო საწყობიდან ან საბითუმო გაცემის ადგილიდან 50 კილმ. მეტ მანძილზე მდებარეობს,—12,5%.

შენიშვნა 1. დაწესებული უკიდურესი წანამატი გამოიანგარიშება საბითუმო-საგასაცემო ფასზე აქციზის ჩარიცხვით.

შენიშვნა 2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ უკიდურეს წანამატს დაერიცხება ჭაპანზიდვით გადატანის ღირებულება კეროსინის საბითუმო გაცემის ადგილიდან ან სარეზერვუარო საწყობიდან ცალობითი გაყიდვის ადგილამდე, ხოლო არა უმეტეს იმ ნორმისა, რასაც დაწესებენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულები.

2. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაეკალბათ დაწესონ კეროსინის ჭაპანზიდვით გადატანის ხარჯის უკიდურესი ნორმები, რისთვისაც უნდა განსაზღვრონ ფუთი-ვერსის საშუალო ღირებულება, ტარის დაბრუნებით, ამისდა მიუხედავად, რა დრო იქნება წლისა.

3. წინადადება ეძლევა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში, ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის მიხედვით, შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ კონკრეტული ცალობითი ფასები, რისთვისაც საწყავ ერთეულად ერთი ლიტრი უნდა მიიღონ.

4. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაეკალბათ მიიღონ სახელმძღვანელოდ ქვემოაღნიშნული ნუსხა და იმ ხარჯების ელემენტთა რაოდენობა, რაც შეადგენს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ უკიდურეს წანამატს:

ზედნადები ხარჯი (სამუშაო ხელფასი, სადგომის შენახვა, გადასახადი, გამოსაღები და სხვ.).

დანაღვარი გადაზიდვის დროს. დანაღვარი ჩამოსხმის დროს.

ტარის ამორტიზაცია და რემონტი.

მოგება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 კილომეტრამდე	50 კილომეტრამდე	50 კილმ. მეტი
7%	7%	8%
0,75%	1%	1,5%
0,5%	0,5%	0,5%
1,5%	1,5%	1,5%
1%	1%	1%.

შენიშვნა. ა/კსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს უფლება აქვთ შეავსონ ხარჯების ზემოაღნიშნული ნორმები მათი რაც შეიძლება მეტი შემცირებისათვის, ხოლო ტარის ამორტიზაციისა და რემონტის ნორმები არ უნდა შეიცვალოს.

5. შემოღებულ იქნეს, როგორც წესი, რომ აზერბაიჯანის ნავთის ვაჭრობის სამმართველოს საბითუმო საწყობებსა და ცალმბითი პუნქტებს შორის მხოლოდ ერთი საშუალედო პუნქტი უნდა იყოს.

6. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. სექტემბრის 6-დან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწ. და სახ. საქონლის სამმ. უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1635 №-ში 1927 წ. ნოემბრის 25-ს.

დადგენილება № 55 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

241. მომხმარებელ საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდების რეგისტრაციის წესის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (მთავრობის „ვესტნიკ"-ი 1924 წ. მე-5 №-რი, მუხ. 172) მე-13 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, სომხეთის სოც. საბჭ. რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკასა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, აგრეთვე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში) წარმომადგენელთან აფხაზეთში დაარსდება კომისიები მომხმარებელ საზოგადოებათა წესდებების რეგისტრაციისათვის შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო და ორი წევრი, რომელთაგან ერთს წარგზავნის მომხმარებელ კოოპ. საზოგადოებათა კავშირი, სარეგისტრაციო კომისიის სამყოფელი ადგილის მიხედვით, და ერთს—პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივი საბჭო ან ბიუროო.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსდება მომხმარებელი საზოგადოებების კავშირთა წესდებების სარეგისტრაციო ცენტრალური კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, და ორი წევრი, რომელთაგან ერთს წარგზავნის ამიერკავკასიის მომხმ. კოოპერ. საზ. კავშირი და მეორეს—ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭო.

ცენტრალური კომისიის კომპეტენციაში შედის, გარდა ყველა საფეხურის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირების რეგისტრაციისა, აგრეთვე იმ მომხმარებელ საზოგადოებათა რეგისტრაცია, რომელთა მოქმედების რაიონიც სცილდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ფარგალს, ხელმძღვანელობის გაწევა სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების სარეგისტრაციო კომისიების მუშაობისათვის და განხილვა ამ კომისიების დადგენილებათა გამო მიღებული საჩივრებისა და პროტესტებისა.

შენიშვნა. სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებების რეგისტრაცია, ამა დადგენილების თანახმად, მოხდება მიუხედავად მათ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა სავაჭრო რეგისტრაციისა, რაც სწარმოებს სავაჭრო რეგისტრაციის დებულების მიხედვით(სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № 57, მუხ. 579).

2. სარეგისტრაციო კომისიის რეესტრებისა და საქმეების მიმოხილვა შეუძლიან ყველა მსურველს.

3. რეგისტრაციის შესახებ წარდგენილი განცხადებისათვის და აგრეთვე რეგისტრაციასთან დაკავშირებით შეტანილი სხვა ქაღალდისათვის საღერმო და საკანცელარიო გამოსაღები გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

4. სამი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც კომისია მიიღებს დადგენილებას ამა თუ იმ ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ და აგრეთვე წესდების შეცვლისა და დამატების თაობაზე რეესტრში შენიშვნის გაკეთების შესახებ,—რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო ჩანაწერი.

5. კომისიის დადგენილება ორგანიზაციის წესდების რეგისტრაციისა ან რეესტრში წესდების ცვლილებისა და დამატების აღნიშვნის შესახებ და აგრეთვე რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ეცნობება იმ ორგანიზაციას, რომლის შუამდგომლობის მიხედვითაც მიღებულ იქნა დადგენილება.

უკეთუ კომისია ერთი თვის განმავლობაში არ მიიღებს დადგენილებას რეგისტრაციისა ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სათანადო ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია რეგისტრაციაქმნილად ჩაითვლება და იგი დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს რეესტრში.

6. კომისიას შეუძლიან უარი უთხრას კოოპერატიულ ორგანიზაციას წესდების რეგისტრაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ორგანიზაციის წესდება, წესდებაში შესატანი ცვლილება ან დამატება, ან და სამომხმარებლო საზოგადოების დამფუძნებელთა შედგენილობა მომქმედ კანონთა მოთხოვნას არ შეეფერება, ან უკეთუ ახლად მოსაწყობი ან მომქმედი სამომხმარებლო საზოგადოების წევრთა რიცხვი არ შეეფერება იმ ნორმებს, რაც დაწესებულია ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირების მიერ—სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ—1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის თანახმად.

7. ერთი თვის განმავლობაში კომისიისაგან შეტყობინების მიღების დღიდან განცხადების შემტან ორგანიზაციას შეუძლიან შეიტანოს საჩივარი ან განაცხადოს პროტესტი ცენტრალურ კომისიაში, ხოლო ცენტრალური კომისიის დადგენილების გამო იმავე ვადაზე—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში. საჩივარი და პროტესტი შეიტანება იმ კომისიის მეშვეობით, რომელმაც დადგენილება გამოიტანა; კომისია ვალდებულია სამი დღის განმავლობაში წარმართოს საჩივარი ან პროტესტი საქმითა და თავისი ახსნა-განმარტებით დანიშნულებისამებრ.

პროტესტის უფლება ეკუთვნის:

1. სამომხმარებლო საზოგადოებათა სარეგისტრაციო კომისიის დადგენილებათა გამო—ქალაქისა და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტსა და სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს, რეგისტრაციაში გასატარებელი ორგანიზაციის გამგეობის სამყოფელი ადგილის მიხედვით, თანახმად მისი წესდებისა;

2. ცენტრალური კომისიის დადგენილების გამო—იმ რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს, რომლის ტერიტორიაზედაც რეგისტრაციაში გასატარებელი ორგანიზაციის გამგეობა იმყოფება, თანახმად მისი წესდებისა, და ამიერკავკასიის სამომხ. კოოპ. საზ. კავშირს;

8. ცენტრალური კომისია, ხოლო სათანადო შემთხვევაში—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია ვალდებულია განიხილოს საჩივარი ან პროტესტი ორი კვირის განმავლობაში საქმის მიღების დღიდან.

ცენტრალური კომისიის (ან ა/კსფსრ ვაჭრ. სახ. კომისარიატის კოლეგიის) გადაწყვეტილება სამი დღის განმავლობაში ეცნობება დაინტერესებულ მხარეს.

9. კომისიებს უფლება ეძლევათ ზედამხედველობა გაუწიონ ამ კომისიებში რეგისტრაციაქმნილ ორგანიზაციების მიერ კოოპერატიული პრინციპების განხორციელებას, რისთვისაც მათ შეუძლიანთ დააკისრონ სათანადო სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირებს აღნიშნული ორგანიზაციების რევიზია.

უკეთუ აღმოჩნდება, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციამ წესდებაში აღნიშნულ მიზანს გადაუხვია იმ მიმართულებით, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, კომისია წარმართავს სათანადო მოსსენებას ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია—სამომხმარებლო კოოპერა-

ციის თაობაზე—1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხლის „დ“ პუნქტში.

10. ამა დადგენილების გამოქვეყნებისას სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებში ან სხვა ორგანოებში რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებებს ხელახლად უნდა გაუკეთდეს რეგისტრაცია ამა დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ.

11. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს 1928 წლის მაისის 1-სათვის. ის ორგანიზაცია, რომლის წესდებასაც, ამა დადგენილების წესისამებრ, 1928 წლის მაისის 1-სათვის რეგისტრაცია არ გაუკეთდება, ლიკვიდაცია უნდა ექნეს.

12. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს, ერთი თვის ვადაზე, ამიერკავკასიის სამომხმ, კოოპ. საზ. კავშირთან და ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ნოემბრის 17.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1638 №-ში 1927 წ. ნოემბრის 29-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

242. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის შესახებ—1927 წ. მარტის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1927 წ. № 16, მუხ. 173) მე-10 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სპეციალურ სახსრად ითვლება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების იმ შემოსავლისაგან შემდგარი თანხა, რაც, საკანონმდებლო ორგანოების ცალკე დადგენილების თანახმად, შეიძლება დაწესებულებამ დახარჯოს აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული მიზნისათვის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში გაუტარებლად.

2. ა/კსფსრ ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას უფლება—იქონიოს სპეციალური სახსარი—მიეცემა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს უფლება—იქონიონ სპეციალური სახსარი—მიეცემათ ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს მიერ, სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენისამებრ.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც ამა თუ იმ დაწესებულებას, ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, უფლება მიეცა—სპეციალური სახსარი იქონიოს—ძალაში დარჩება.

3. ა/კსფსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებათა დაწესებულებანი თითოეული სახის სპეციალური სახსარისათვის ყოველწლიურად შეადგენენ ხარჯთაღრიცხვას როგორც შემოსავლისა, ისე გასავლის დარგში და წარუდგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—კუთვნილისამებრ; ეს ხარჯთაღრიცხვები წარდგენილ უნდა იქნეს სათანადო უწყების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის დანართის სახით ამ ხართაღრიცხვასთან ერთად.

4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი განიხილავს და დაამტკიცებს ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების სპეციალურ სახსარის ხარჯთაღრიცხვებს ამ უწყებებთან შეთანხმებით.

შენიშვნა. ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების დაწესებულებათა სპეციალურ სახსარის ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვებს განიხილავენ და დაამტკიცებენ ამ რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატები დაინტერესებულ უწყებების მონაწილეობით; აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები წარედგინება სათანადო სახალხო კომისართა საბჭოებს და, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, გაიგზავნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

შენიშვნა. უკეთუ რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და ა/კსფსრ კანონმდებლობას, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის გეგმებს ან მის ცალკე დარგებს და აგრეთვე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სადირექტივო განმარტებებს, ეს უკანასკნელი შეიტანს ხარჯთაღრიცხვაში სათანადო ცვლილებებს.

5. უკეთუ ა/კსფსრ ფინანსთა სახ. კომისარიატში ან რესპუბლიკანურ ფინანსთა სახ. კომისარიატებში დადგენილ ვადაზე წარდგენილი სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვები სამიუჯეტო წლის დაწყებამდე აღნიშნული ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ, კუთვნილებისამებრ, დამტკიცებულ არ იქნება,—ხარჯის გაწევა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე შეიძლება სწარმოებდეს გაერთიანებული უწყების მიერ იმ თანხების ფარგალში, რაც გამოანგარიშებული ია ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის წარდგენილ ხარჯთაღრიცხვის პროექტში, ხოლო რესპუბლიკების არაგაერთიანებული უწყებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ—იმ თანხის ფარგლებში, რასაც განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

უკეთუ სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვას უწყება საბიუჯეტო წლის დამდეგამდე არ წარადგენს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები წარუდგენენ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოებს მოხსენებას, რათა ამა თუ იმ დაწესებულებას ჩამოერთვას უფლება—იქონიოს სპეციალური სახსარი უწყებულ საბიუჯეტო წელიწადში.

7. უკეთუ ამა თუ იმ დაწესებულებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში მიეკუთვნოს უფლება იქონიოს სპეციალური სახსარი, იგი ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილების გამოცემის დღიდან, წარუდგინოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ან რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—კუთვნილებისამებრ, ამა დადგენილების მე-3, 4 და 5 მუხ. გათვალისწინებული წესით, სპეციალურ სახსართა საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვა საბიუჯეტო წლის დარჩენილი დროისათვის.

8. უწყებათა სპეციალური სახსარი ინახება ფინანსთა სახალხო კომისარიატის საშემოსავლო-საგასავლო საღაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში პროცენტიან მიმდინარე ანგარიშზე.

9. სპეციალური სახსარის დახარჯვა სრულიად უნდა შეეფერებოდეს ამ სახსარის დანიშნულებას დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ხელთ-ქონებულობის ფარგალში.

უკეთუ სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული შემოსავალი სრულად მიღებულ არ იქნა, უწყება ვალდებულია იხმაროს ღონისძიება ხარჯის სათანადო შემცირებისათვის.

10. სპეციალურ სახსართა ნაშთი, რაც საბიუჯეტო წლის ბოლოს შესდგება, გადატანილ უნდა იქნეს შემდეგი წლის სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილში, უკეთუ სათანადო სპეციალური სახსარის შესახებ მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებული არ არის ნაშთის სხვაგვარად მოხმარება.

11. რევიზიისა და კონტროლის გაწევის მხრით სპეციალური სახსარი ექვემდებარება საერთო წესს, რაც დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტით გატარებულ სახსართათვის.

12. ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 18-ის თარიღისა და 33 №-ის დადგენილება—უწყებათა სპეციალური სახსარის შესახებ—(ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 6, მუხ. 450)—გაუქმებულ იქნეს.

ა/კავ. რესპ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კავ. რესპ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი, სახალხე. 1927 წ. ნოემბრის 15.

ბეჭდვილია „ზარია ვოსტოკ“-ს 1639 №-ში 1927 წ. ნოემბრის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი